ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 12-0325280127-03
თარიღი: 07.10.2025 16:58
ვადა: 06.11.2025

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-01252803426 განცხადების თარიღი: 07.10.2025
ხელმომწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

მოთხოვნის ტექსტი

54-30 და 28-96 დადგენილებებში შესატანი ცვლილებების პროექტები.

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 12-0325280127-03
07.10.2025 : 16:58
თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი N2

წერილის ნომერი: **01-01252803426**
თარიღი: **07/10/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ზურაბ აბაშიძეს

ბატონო ზურაბ,

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ“

ა) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 აპრილის № 54-30 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ„ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

ბ) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის № 28-96 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ„ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

დანართი: 10 (ათი) ფურცელი.

პატივისცემით,

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №----

2025 წლის ----

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლის 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-96 დადგენილებაში (შემდგომში - დადგენილება) (ვებ-გვერდი www.matsne.gov.ge 26.09.2018, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.101.016547) და:

1. დადგენილების:

ა) პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 64-ე მუხლის „ა“ პუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტების, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55^{5} მუხლის, 77^{1} მუხლის, 82^{5} მუხლის, 146^{1} მუხლის, 150^{2} მუხლის, 150^{3} მუხლის, 151^{1} მუხლის, 152^{3} მუხლის, 152^{5} -152^{9} მუხლების, 153^{6} მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილების, 153^{9} მუხლის, 156^{2} მუხლით , 156^{4} მუხლით, 158^{3} მუხლის, 158^{4} მუხლის, 158^{5} მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 209^{3} მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილების, 234^{1} მუხლის, 239-ე მუხლის 27-ე ნაწილის, 240-ე მუხლის, 242-ე მუხლის 3^{1} ნაწილის, 243-ე მუხლის 2^{1} ნაწილის, 268-ე მუხლის მე-7 ნაწილის, 270-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 272-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 273-ე მუხლის, ნარჩენების მართვის კოდექსის 47-ე მუხლის პირველი, მე-8, მე-12-მე-15 ნაწილების, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**“;

ბ) პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55^5 მუხლით, 77^1 მუხლით, 82^5 მუხლით, 146^1 მუხლით, 150^2 მუხლით, 150^3 მუხლით, 151^1 მუხლით, 152^3 მუხლით, 152^5 -152^9 მუხლებით 153^6 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 153^9 მუხლით, 156^2 მუხლით, 156^4 მუხლით, 158^3 მუხლით, 158^4 მუხლით, 158^5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილნი არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის (შემდგომში – ინსპექცია) დებულებით განსაზღვრული შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის საჯარო მოხელეები (შემდგომში – საჯარო მოხელე).“;

გ) მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55^5 მუხლით, 77^1 მუხლით, 82^5 მუხლით, 146^1 მუხლით, 150^2 მუხლით, 150^3 მუხლით, 151^1 მუხლით, 152^3 მუხლით, 152^5 -152^9 მუხლებით, 153^6 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 153^9 მუხლით, 156^2 მუხლით, 156^4 მუხლით, 158^3 მუხლით, 158^4 მუხლის, 158^5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი (დანართის №1);“;

2. დადგენილებით დამტკიცებული წესის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55^5 მუხლით, 77^1 მუხლით, 82^5 მუხლით, 146^1 მუხლით, 150^2 მუხლით, 150^3 მუხლით, 151^1 მუხლით, 152^3 მუხლით, 152^5 -152^9 მუხლებით, 153^6 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 153^9 მუხლით, 156^2 მუხლით, 156^4 მუხლით, 158^3 მუხლით, 158^4 მუხლით, 158^5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი“ ;

ბ) მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საჯარო მოხელე, სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55^5 მუხლით, 77^1 მუხლით, 82^5 მუხლით,

146^1 მუხლით, 150^2 მუხლით, 150^3 მუხლით, 151^1 მუხლით, 152^3 მუხლით, 152^5 -152^9 მუხლებით, 153^6 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 153^9 მუხლით, 156^2 მუხლით, 156^4 მუხლით, 158^3 მუხლით, 158^4 მუხლით, 158^5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამოვლენის მიზნით, უფლებამოსილია კალენდარული წლის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, შეუზღუდავად განახორციელოს შემოწმება.

2. საჯარო მოხელე საჯარიმო ქვითარს – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ავსებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55^5 მუხლით, 77^1 მუხლით, 82^5 მუხლით, 146^1 მუხლით, 150^2 მუხლით, 150^3 მუხლით, 151^1მუხლით, 152^3 მუხლით, 152^5-152^9 მუხლებით, 153^6 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 153^9 მუხლით, 156^2 მუხლით, 156^4 მუხლით, 158^3 მუხლით, 158^4 მუხლით, 158^5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე-35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით. აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ სამართალდამრღვევს არ აქვს პიროვნების დამადასტურებელი საბუთები და არ არიან მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ მიაწოდონ საჭირო ცნობები მის შესახებ, საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემვსებმა საჯარო მოხელემ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 243-ე მუხლის 2^1 ნაწილის შესაბამისად, შეიძლება სამართალდამრღვევი მიიყვანოს პოლიციაში სახელის, გვარისა და საცხოვრებელი მისამართის დადგენის მიზნით. აღნიშნული მონაცემების დადგენის შემდეგ, საჯარო მოხელე ავსებს საჯარიმო ქვითარს – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**

<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №____
2025 წლის ___
ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 აპრილის №54-30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 აპრილის №54-30 დადგენილების დანართით დამტკიცებულ დებულებაში (ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, 16/04/2025 სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.101.017317) და:

ა) დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის თვითნებური შეზღუდვის, მათ შორის, კონსტრუქციების ან/და სამშენებლო მასალების დაყრის ფაქტების გამოვლენა და კონტროლი;“

ბ) დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტს, „კ“ ქვეპუნქტის შემდეგ, დაემატოს „კ[1]“ ქვეპუნქტი:

„კ[1]) პიროტექნიკური ნაკეთობის გამოყენების/წარმოების/რეალიზაციის ნებართვის ან/და ლიცენზიის გარეშე, ასევე შეძენის, ფლობისა და გამოყენების წესების დარღვევებზე ფაქტების გამოვლენა და კონტროლი;“;

გ) დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) აწარმოოს კონტროლი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ტერიტორიის იერსახის დამახინჯებაზე, რეკლამის, აბრის, აკუსტიკური ხმაურის, არასათანადო რეკლამის განთავსებაზე (გავრცელებაზე), აზარტული თამაშობის, ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს, აზარტული თამაშობის ორგანიზატორის, ლოტოს ორგანიზატორის და ბინგოს ორგანიზატორის რეკლამის გავრცელებაზე ან/და აბრის განთავსების დარღვევის ფაქტების გამოვლენაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების უნებართვოდ დაკავებაზე (სარგებლობაზე), ამტვერებადი მასალის სველი მეთოდის გარეშე დამუშავებაზე, მშენებარე კონსტრუქციის ღია სივრცეში ამტვერებადი მასალის შეფუთვის გარეშე განთავსებაზე,

ამტვერებადი მასალის ტრანსპორტირების, ბეტონმზიდი მანქანის გადაადგილებისას ამ მანქანიდან ბეტონის გზის სავალ ნაწილზე დაღვრისა და სამშენებლო მოედანზე შეუფუთავი ამტვერებადი მასალის ან/და არასათანადოდ შეფუთული ამტვერებადი მასალის განთავსებაზე, კონსტრუქციების ან/და სამშენებლო მასალების დაყრაზე, პიროტექნიკური ნაკეთობის გამოყენების/წარმოების/რეალიზაციის ნებართვის ან/და ლიცენზიის გარეშე, ასევე შეძენის, ფლობისა და გამოყენების წესების დარღვევებზე, პიროტექნიკური ნაკეთობის გამოყენების, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვაზე, გარე ვაჭრობაზე, მწვანე ნარგავების დაზიანებაზე ან/და თვითნებური განადგურების ფაქტზე, პლასტიკისა ან/და ბიოდეგრადირებადი პარკების დადგენილი წესით რეალიზაციაზე, მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების წესის ან/და რეალიზაციის წესის დარღვევაზე, სამშენებლო, სარემონტო და საავარიო სამუშაოების წარმოების წესებსა და ნარჩენებით ქალაქის დანაგვიანებაზე;“

დ) დებულების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტს:

დ.ა) „გ.3“ ქვეპუნქტის შემდეგ, დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ.3[1]“ და „გ.3[2]“ ქვეპუნქტები:

„გ.3[1]) ახორციელებს კონტროლს საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში პიროტექნიკური ნაწარმის იმპორტის, ექსპორტის, წარმოების ან/და რეალიზაცია ნებართვის/ლიცენზიის გარეშე განხორციელების ფაქტებზე;

„გ.3[2]) ახორციელებს კონტროლს საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში პიროტექნიკური ნაწარმის რეალიზაციის, შეძენის, ფლობისა და გამოყენების წესების დარღვევის ფაქტებზე.“;

დ. ბ) „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ, დაემატოს შემდეგი შინაარსის „ დ.ბ[1]“ ქვეპუნქტი:

„დ.ბ[1]) ახორციელებს კონტროლს საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში პარკებში, ბაღებში, სკვერებში, გაზონებზე, ეზოებში, სპორტულ მოედნებზე, ავტოსადგომებთან, ბაზრებთან ან სხვა ადგილებში კონსტრუქციების ან/და სამშენებლო მასალების დაყრის ფაქტების გამოვლენასა და შესაბამისი კანონით დადგენილი ღონისძიებების გატარებაზე;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების განმარტებითი ბარათი

ა.ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი:

2024 წლის 13 დეკემბერს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (შემდგომში -კოდექსი) განხორციელებული ცვლილებების (კანონი №169-Iმს-XIმპ, სარეგისტრაციო კოდი: 020000000.05.001.102437) შედეგად კოდექსს დაემატა 156² მუხლი – პიროტექნიკური ნაწარმის იმპორტი, ექსპორტი, წარმოება ან/და რეალიზაცია ნებართვის/ლიცენზიის გარეშე და 156⁴ მუხლი – პიროტექნიკური ნაწარმის რეალიზაციის, შეძენის, ფლობისა და გამოყენების წესების დარღვევა.

ამასთან, კოდექსის 209³ მუხლის ცვლილებით დადგინდა, რომ ზემოაღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების განხილვა შესაძლებელია ადმინისტრაციული წარმოების გარეშე, ადგილზე, მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრული შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ან უფლებამოსილი პირის მიერ.

ზემოაღნიშნული ცვლილებების შესაბამისად, საჭირო გახდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-96 დადგენილების მოწესრიგება და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ა.ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზანი:

პიროტექნიკური ნაწარმის არაკანონიერი გამოყენება და გავრცელება მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომელიც ქმნის საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ხმაურის და მოქალაქეთა ჯანმრთელობის რისკებს.

წარმოდგენილი ცვლილების შედეგად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია მიიღებს სამართლებრივ საფუძველს იმ სამართალდარღვევებზე რეაგირებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია კოდექსის 156² და 156⁴ მუხლებით.

პროექტის მიზანია ასევე №28-96 დადგენილებიდან კოდექსის იმ მუხლების (77² და 135⁵ მუხლების) ამოღება, რომლებიც უკვე არ არის აქტუალური ან აღარ გამოიყენება პრაქტიკაში.

ა.გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) ძირითადი არსი:

წარმოდგენილი პროექტით, №28-96 დადგენილებას (მათ შორის, დანართის სახით დამტკიცებულ საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის

ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესს) ემატება კოდექსის 156[2] მუხლი – „პიროტექნიკური ნაწარმის ნებართვის გარეშე რეალიზაცია“ და156[4] მუხლი – „პიროტექნიკის გამოყენების წესის დარღვევა“, რომელთა დარღვევებზე რეაგირებას მოახდენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია.

დადგენილებაში განხორციელებული ცვლილებით ასევე ამოღებული იქნება კოდექსის 77 [2] და 135[4] მუხლები.

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება

პროექტის ინიციატორის მოსაზრებით, პროექტი არ ახდენს ზეგავლენას ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი:

პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ვ) პროექტის წარმდგენი:

პროექტის წარმდგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 აპრილის N54-30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების განმარტებითი ბარათი

ა.ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 აპრილის N54-30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტი) მიღება განპირობებულია საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (გამოქვეყნებულია ვებგვერდზე www.matsne.gov.ge, 29.12.2024, სარეგისტრაციო კოდი: №020000000.05.001.102437) ამოქმედებით (შემდგომში - კოდექსი). კერძოდ, კოდექსს დაემატა მუხლი 156² – „პიროტექნიკური ნაწარმის იმპორტი, ექსპორტი, წარმოება ან/და რეალიზაცია ნებართვის/ლიცენზიის გარეშე“ და მუხლი 156⁴ – „პიროტექნიკური ნაწარმის რეალიზაციის, შეძენის, ფლობისა და გამოყენების წესების დარღვევა“.

აღნიშნული მუხლები ასევე შეტანილ იქნა კოდექსის 209³ მუხლის პირველ და 2¹–მე-4 ნაწილებში, რაც გულისხმობს, რომ აღნიშნული სამართალდარღვევების განხილვა ენიჭება მუნიციპალიტეტების მიერ განსაზღვრულ შესაბამის ორგანოს.

კოდექსის 209³ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, 146¹ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს განიხილავს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მერიის სტრუქტურული ერთეული ან შესაბამისი უფლებამოსილი პირი/ორგანიზაცია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-96 დადგენების შესაბამისად, ამ კომპეტენციას ახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია, ამიტომ, აღნიშნული ცვლილებების ეფექტიანად განხორციელებისთვის აუცილებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

ა.ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზანი:

პიროტექნიკური ნაწარმის უკანონო ბრუნვა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას დედაქალაქში. პროექტის მიზანია პიროტექნიკური ნაწარმის ნებართვის/ლიცენზიის გარეშე წარმოების, რეალიზაციისა და გამოყენების ფაქტებზე დროული და ეფექტიანი რეაგირება. გარდა ამისა, დედაქალაქში მოჭარბებულია საზოგადოებრივ ადგილებში სამშენებლო მასალების ან კონსტრუქციების უკანონო განთავსების ფაქტები, ხოლო აღნიშნული ცვლილებით მუნიციპალური ინსპექცია

განახორციელებს მყისიერ საპრევენციო ღონისძიებებს ზემოხსენებულ სამართალდარღვევის ფაქტებზე.

ა.გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) ძირითადი არსი:

პროექტის თანახმად:

ა) დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის ფუნქციებს ემატება კონსტრუქციების ან/და სამშენებლო მასალების დაყრის ფაქტების გამოვლენა და კონტროლი, ასევე, პიროტექნიკური ნაკეთობის გამოყენების/წარმოების/რეალიზაციის ნებართვის ან/და ლიცენზიის გარეშე, ასევე შეძენის, ფლობისა და გამოყენების წესების დარღვევებზე ფაქტების გამოვლენა და კონტროლი;

ბ) დებულების მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფლებებს ემატება კონსტრუქციების ან/და სამშენებლო მასალების დაყრის ფაქტების გამოვლენა და კონტროლი, ასევე, პიროტექნიკური ნაკეთობის გამოყენების/წარმოების/რეალიზაციის ნებართვის ან/და ლიცენზიის გარეშე, ასევე შეძენის, ფლობისა და გამოყენების წესების დარღვევებზე ფაქტების გამოვლენა და კონტროლი.

გ) დებულების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტს, რომელიც ადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მონიტორინგის სამმართველო განყოფილებების უფლებამოსილებებს ემატება „გ.3^1“ და „გ.3^2“ ქვეპუნქტები: „პიროტექნიკური ნაწარმის იმპორტის, ექსპორტის, წარმოებისა ან/და რეალიზაციის ნებართვის/ლიცენზიის გარეშე განხორციელების ფაქტებზე ზედამხედველობა“ და „პიროტექნიკური ნაწარმის რეალიზაციის, შეძენის, ფლობისა და გამოყენების წესების დარღვევის ფაქტებზე ზედამხედველობა.“

აღნიშნული ქვეპუნქტები უზრუნველყოფს კოდექსის 156^2 და 156^4 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების აღკვეთას და კონტროლს მუნიციპალური ინსპექციის მიერ.

დ) დებულების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტს ემატება:

„დ.$ბ^1$“ ქვეპუნქტი „ნარჩენების კონტროლის განყოფილება ახორციელებს კონტროლს: პარკებში, ბაღებში, სკვერებში, გაზონებზე, ეზოებში, სპორტულ მოედნებზე, ავტოსადგომებთან, ბაზრებთან ან სხვა საზოგადოებრივ ადგილებში კონსტრუქციებისა და/ან სამშენებლო მასალების დაყრის ფაქტების გამოვლენაზე და შესაბამის რეაგირებაზე.

აღნიშნული ქმედებები ეფუძნება 146^1 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე რეაგირების მექანიზმებს.

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

პროექტის ინიციატორის მოსაზრებით, პროექტი არ ახდენს ზეგავლენას ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი:

პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ვ) პროექტის წარმდგენი:

პროექტის წარმდგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.